ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8156441

ნომერი: AR11149357

თარიღი : 25.06.2026

გაცემის თარიღი : 10.11.2026

გაცნობის თარიღი : 11.11.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მერაბიშვილი პ/ნ 13001007824
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 30

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 428
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 23.09.2025

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 298
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 19.06.2026

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი მერაბიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ''სითიზენი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405391936

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ოსტატი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400145758
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავითი ტაბატაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 56001003859

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1760.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 10443.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 9180.7
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 4224.5
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 910.8
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 293.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1492.8
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1069.8
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 216.1
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 973.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 24702.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 18402.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 6300.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 42.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 32.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 10.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 723.5 ; კ1= 0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6196.4; კ2=3.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 622.1; კ3=0.4

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. საჭიროა უძრავი ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობანაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის

დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

2. წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ განმცხადებელზე გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა. - წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის იპოთეკარის მიერ გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა. წარმოდგენილი იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 17 ივნისის N 26.1087.1185 განკარგულების მე-2-მე-4 პუნქტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია

3. შესაბამის ველში წარმოადგინეთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში, რომელიც მოიცავს, ა) მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის ფიქსაციას და მათზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ზემოქმედების ხარისხს; ბ) საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც ასევე აისახება მშენებლობის ორგანიზების პროექტში. შენიშვნა: კვლევის ჩატარება სავალდებულოა, თუ შენობა-ნაგებობის მშენებლობა დაგეგმილია ჩამოყალიბებული განაშენიანებით შეზღუდულ პირობებში (ახალი მშენებლობისა და მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია), III კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში – სამშენებლო მოედნის 10 მეტრის რადიუსში, ხოლო IV კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში – 20 მეტრის რადიუსში, ასევე სხვა ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისას, რათა გამოირიცხოს დაგეგმილი მშენებლობით მიწის ნაკვეთის მომიჯნავე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების დეფორმაცია და დაზიანება. შენიშვნა: მომიჯნავე შენობა-ნაგებობის გამაგრების სამუშაოებზე ნებართვა გაიცემა ძირითადი ნებართვის ფარგლებში, შესაბამისი მომიჯნავე შენობა-ნაგებობის მესაკუთრის ნოტარიული თანხმობის საფუძველზე.

4. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: 1027 ქვეთავის თაობაზე დეტალურად განიმარტო სექსპერტიზაში.

5.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: წარმოდგენილ იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ, საქართველოს მთავრობის №255 დადგენილების მე-18 და მე20 მუხლების შესაბამისად დამუშავებული, მშენებლობის ორგანიზების სრულყოფილი პროექტი. გაითვალისწინეთ: მშენებლობის კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილ იქნას გარჩევადი სახით. აქვე გაითვალისწინეთ, რომ მშენებლობის კალენდარული გრაფიკი მითითებული ეტაპები სამსახურის მიერ უნდა ინდენთიფიცირდებოდეს (ინიშნებოდეს) მარტივად.

6. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: მოსაკრებელი გადახდილ იქნას, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 10 (ათი) ლარის ოდენობით. ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზოვანი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებელი შეადგენს II კლასის ობიექტებისთვის - 50 ლარს, III კლასის ობიექტისთვის - 200 ლარს, IV კლასის ობიექტისთვის - 400 ლარს (ფუნქციური ზონის მიუხედავად).

7. ანგარიშს აკლია ანგარიშის ავტორის - შემსრულებელი ინჟინერ გეოლოგის პირადობის და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, CV და დიპლომი და ანგარიშს აკლია საექსპერტო შეფასება. შესაბამისად გეოდოკუმენტაციის განხილვა მოხდება სრულყოფილი გეოდოკუმენტაციის - ს/გეოლოგიური ანგარიშის და მისი საექსპერტო შეფასების, ორივეს ერთად წარმოდგენის შემდგომ

8· წარმოადგინეთ შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლების და ძირითადი კონსტრუქციების სქემები საექსპერტო შეფასებასთან ერთად. ასევე, ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, დიპლომს, სამუშაო გამოცდილებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.